

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს
„სახვითი ხელოვნების სფეროში წიგნი-ალბომების გამოცემის ხელშეწყობა“

კონკურსის პირობები:

1. კონკურსის მიზანი

ქართული კულტურის წარმოჩენა-პოპულარიზაცია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოცემების (წიგნი-ალბომი, კატალოგი) მხარდაჭერით, მათ შორის უპირატესად საიუბილეო გამოცემების მხარდაჭერით;

2. კონკურსის პირობები

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირს;
- კონკურსსანტს აღნიშნულ კონკურსში შეუძლია მხოლოდ 1 პროექტის წარმოდგენა;
- ცალკეულ პროექტზე სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარს;
- უპირატესობა მიენიჭება თანადაფინანსების მქონე იმ პროექტებს, რომლებიც ეძღვნება ქართულ კულტურაში განსაკუთრებული წვლილის მქონე ხელოვანებს და სრულფასოვნად წარმოაჩენს: ხელოვანის შემოქმედებას მაღალპროფესიულ და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე; გამოცემის მნიშვნელობას კონკრეტული რეგიონისთვის, ქვეყნისთვის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით;
- კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს და რეკომენდაციებს შეიმუშავებს საკონკურსო კომისია.

3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები

- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ შემუშავებული განაცხადის ფორმის შესაბამისად (იხილეთ თანდართულ ფაილი) და მას უნდა ერთვოდეს წერილი მინისტრის სახელზე კონკურსის დასახელების მითითებით, საკითხის მოკლე

აღწერით. პროექტი (Word-ის ფაილში) და თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს CD ვერსიის სახითაც, მასზე მითითებული უნდა იყოს იურიდიული პირის სახელწოდება;

- დანართში წარმოდგენილი უნდა იყოს გამოსაცემად მომზადებული ფაილის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილი) ან მაკეტი, ან გამოცემის კონცეფცია პრეზენტაციის (Power Point) სახით. პრეზენტაციამ უნდა წარმოაჩინოს გამოცემის ვიზუალური მხარე, დიზაინის ნიმუშები, სავარაუდო ვიზუალური მასალის სპექტრი, ტექნიკური პარამეტრები. სავალდებულოა ბეჭდვის ხარჯების წარმოდგენა სტამბიდან სრულყოფილი ინვოისის/ების სახით და წიგნის საგამომცემლო ჯგუფის წევრთა ჩამონათვალი;
- პროექტს უნდა ერთვოდეს ბანკიდან წარმოდგენილი საბანკო რეკვიზიტები;
- იმ შემთხვევაში, როდესაც გამოცემის ხარჯი სცდება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ თანხას (25000 ლარი), პროექტს უნდა ერთვოდეს თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი (საგარანტიო წერილი) იმ ორგანიზაციიდან, რომელიც უზრუნველყოფს წიგნი-ალბომის, კატალოგის გამოსაცემად მომზადების ან გამოსაცემად მომზადებული მასალის ბეჭდვის ხარჯს;
- საქართველოს გეოგრაფიული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ ორგანიზაციის მიერ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომელიც ასახული იქნება შესაბამისი გეოგრაფიული რეგიონის მიერ დამტკიცებულ კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში, სადაც, ასევე, მითითებული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის, ან სხვა დონორი ორგანიზაციის მხრიდან თანადაფინანსება. აღნიშნული სამოქმედო გეგმა თან უნდა ერთვოდეს საპროექტო განაცხადს;
- პროექტში გამიჯნული უნდა იყოს გამოცემის ეტაპები (I ეტაპი - საბეჭდი ფაილის მომზადება და სამინისტროში წარმოდგენა არაუგვიანეს 2018 წლის 20 ოქტომბრისა, II ეტაპი - მომზადებული PDF ფაილის ბეჭდვა) წიგნი-ალბომის, კატალოგის ბეჭდვაზე სამინისტრო გამოაცხადებს ტენდერს;
- გამოცემული პროდუქციის ტირაჟის განაწილება გავრცელება განისაზღვრება ხელშეკრულებით.

4. კონკურსის განრიგი

- საკონკურსო პროექტების მიღება იწყება 2018 წლის 7 მარტს;
- პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 3 აპრილს 17.00 სთ.;

- კონკურსის შედეგები გასაჯაროვდება 2018 წლის აპრილის შუა რიცხვებში სამინისტროს ვებგვერდზე : CULTURE.GOV.GE;
- პროექტი უნდა განხორციელდეს 2018 წლის ბოლომდე;
- კონკურსზე შემოტანილი მასალა უკან არ ბრუნდება;
- პროექტი და ყველა თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

კონსულტაციები გაიმართება ყოველ ოთხშაბათს 14:00 საათიდან 17:30 საათამდე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში (ტელ: 299 90 37).